სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

№ 01-04/81 14.09. 2022 წ.

მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე სარეგისტრაციო საბუთების ნუსხის დამტკიცების, სარეგისტრაციო ვადებისა და მისაღები საუნივერსიტეტო გამოცდის თარიღის განსაზღვრის შესახებ

2022-2023 სასწავლო წლისათვის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველმა პირებმა უნდა წარმოაგინონ შემდეგი საბუთები:

1. განცხადება აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის გაგრძელებისა და მისაღებ საუნივერსიტეტო გამოცდაში მონაწილეობის მიღების სურვილის შესახებ (ივსება ადგილზე);
2. საქართველოში გაცემული უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დიპლომის ნოტარიულად დამოწმებული ასლი;
3. პირადობის მოწმობის ასლი, მისივე დედნის წარდგენით;
4. სამხედრო აღრიცხვას დაქვემდებარებულ პირთათვის სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმეტის ასლი, მისივე დედნის წარდგენით;
5. საგნის გამოცდის საგამოცდო ბარათი მხოლოდ 2022 წლამდე საგან ჩაბარებულთათვის.
6. ორი ფერადი ფოტოსურათი – 3X4;
7. ცნობა საგნის გამოცდის ჩაბარების შესახებ მხოლოდ 2022 წლამდე საგან ჩაბარებულთათვის, საგამოცდო კოდის მითითებით;
8. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე მისაღებ საუნივერსიტეტო გამოცდაში მონაწილეობის საფასურის - 40 ლარის გადახდის ქვითარი (საბანკო რეკვიზიტები: აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი; მიმღების ბანკი - სახელმწიფო ხაზინა; მიმღების დასახელება - ხაზინის ერთიანი ანგარიში; ბანკის კოდი - TRESGE22; მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი - 709057267).
9. საბუთების მიღება იწარმოებს 2022 წლის 15 სექტემბრიდან 27 სექტემბრის ჩათვლით 10 საათიდან 17 საათამდე (ყოველ დღე, უქმე დღეებისა და შაბათ-კვირის გარდა) სპეციალურად ამ მიზნით შექმნილ სარეგისტრაციო კომისიაში მისამართზე - ქუთაისი, თამარ მეფის ქ. 59, აწსუ I კორპუსის №1211 აუდიტორიაში.
10. შიდასაუნივერსიტეტო გამოცდა ჩატარდება 2022 წლის 29 სექტემბერს. სააპელაციო განაცხადების მიღება და განხილვა 3 ოქტომბერს. ხელშეკრულებების გაფორმება იწარმოებს 5 და 6 ოქტომბერს.
11. უნივერსიტეტის კანცელარიამ უზრუნველყოს ამ ბრძანების განთავსება საინფორმაციო დაფაზე. უნივერსიტეტის მარკეტინგის, პროექტებისა და ღონისძიებების მართვის სამსახურმა ეს ბრძანება განათავსოს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

საფუძველი: მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წესი.

რექტორი **პროფ. როლანდ კოპალიანი**

სასწავლო პროცესის მართვის
სამსახურის უფროსი იმერ ბასილაძე